ზურაბ კიკნაძე

უნივერსიტეტი თუ ნაკრძალი

ზედმეტი არ იქნება გახსენება იმისა, რომ უნივერსიტეტის სახელწოდება – ლათინური სიტყვა UNIVERSITAS თავდაპირველად გულისხმობდა "ერთობას" და ეს უმაღლესი სასწავლებელი იწოდებოდა UNIVERSITAS MAGISTRORUM ET SCHOLARIUM ანუ "ერთიანობა მოძღვართა და დასამოძღვრთა". განსხვავებით დაწყებითი სკოლისაგან, სადაც მოძღვართა დიქტატურაა გამეფებული და ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) სტიმული სწავლისა ჯოხი და იძულებაა, უნივერსიტეტში სტუდენტი (scholaris) თავისუფალია იმ გაგებით, რომ იგი მონაწილეობს არა მხოლოდ სასწავლებლის მართვა-გამგეობაში, არამედ საკუთარი განათლების პროცესშიც – იგი თავად ირჩევს როგორც სასწავლო საგანს, ისე მოძღვარს ამ საგნისა.

UNIVERSITAS MAGISTRORUM ET SCHOLARIUM წარმოადგენს თავისუფალ გაერთიანებას მოძღვართა და დასამოძღვრთა, რომელთაგან თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის აწმყოში და მომავალში; განასახიერებს მათ ჭეშმარიტ ჰარმონიულ და დემოკრატიულ კავშირს, როცა ერთი ამდიდრებს მეორეს მისი კუთვნილი საკუთრებით: ერთს უნდა მოჰქონდეს სიბრძნე, მეორეს – ახალგაზრდული სული, როგორც განახლების საწინდარი; ეს არის ერთი ოჯახი – ALMA MATER, სადაც ბუნებრივად ენაცვლებიან ერთმანეთს თაობები. ამავე დროს ეს კავშირი, ერთიანობა, ავტონომიურია თავისი არსებით, რამდენადაც იგი სრულიად არ საჭიროებს რაიმე გარეშე ავტორიტეტს, თუნდაც გამომდინარეობდეს იგი უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლებისაგან; რადგან ხელისუფლებისაგან არც ადრე, არც, მითუმეტეს, შემდეგ არ გამოსულა სიბრძნე და ჭეშმარიტება; რადგან სწავლა და სწავლება მხოლოდ იმათი პრივილეგიაა, ვინც ამისათვის არის მოწოდებული.

უნივერსიტეტის ბედზე ზრუნვა და წუხილი, მოღვაწეობა მისი კეთილდღეობისა წარმატებისათვის არ არის ამ "გაერთიანების" (UNIVERSITASის) მხოლოდ ერთი მხარის – მოძღვართა უფლება და მოვალეობა. სრულიად გარკვეული აზრით, უნივერსიტეტის, როგორც სასწავლო (პირველ რიგში) დაწესებულების, სრულყოფა სწორედ სტუდენტთა (სქოლარისთა) ნაწილისთვის უნდა იყოს, უპირატესად, სასიცოცხლო პრობლემა. ზრუნვა ამ ასპარეზზე მისი არა მხოლოდ მოთხოვნილებაა, არამედ მოვალეობაც, ცხადია, უფლებაც.

ამიტომაც, არ იყო მოულოდნელი ის ამბავი, რომ უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენის იდეა, რომელიც ჰაერში ეკიდა მწიფე ნაყოფივით სხვადასხვა რანგის ავტონომიების მოთხოვნათა ხანაში, ხმამაღლა და გარკვევით სწორედ სტუდენტთა პირით ითქვა, რაც იმის ნიშანია, რომ იგი შეგნებულად ატარებს ამ იდეას (იხ. „კეისარს კეისრისა..” – "ლიტერატურული საქართველო", 7. X. 1988). ეს იდეა უნივერსიტეტის ერთმა მხარემ გააცხადა, მაგრამ იგი საერთო-საუნივერსიტეტოა, საერთო-საზოგადოებრივიც კი, თუ გავითვალისწინებთ თბილისის უნივერსიტეტის ადგილს ქართველი საზოგადოებრიობის შეგნებაში. ამ განცხადებით სტუდენტობამ დაადასტურა თავისი სიმწიფე, უკან მოიტოვა რა ის სამარცხვინო ხანა, როცა დაწყებითი სკოლის ინერციით კურატორთა ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, რაც ერთხელ კიდევ აუქმებდა UNIVERSITASის იდეას.

შეიძლება იკითხონ: რა უფლებით, რა გამოცდილებით აყენებენ ავტოომიის საკითხს გუშინდელნი? ვპასუხობთ: ავტონომიური უნივერსიტეტის ხანა, 20-იანი ხანმოკლე წლები, ისევე შორეულია და მიუწვდომელი სტუდენტთათვის, როგორც მოძღვართათვის. მაგისტრთა დღევანდელ შემადგენლობაში აღარ არის ის თაობა, რომელსაც ავტონომიურ

უნივერსიტეტში უხდებოდა მოღვაწეობა. ამ ხანის გამოცდილებას ყველანი მოკლებულნი არიან, პრობლემის დასმის პრივილეგიაც არავისი უნდა იყოს.

"ნაბიჯი უნივერსიტეტის ავტონომიისაკენ" – ამ სათაურით უნივერსიტეტის პრეს-კლუბმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლითაც იუწყება უნივერსიტეტში "ძეგლთა დაცვის საზოგადოების" დაარსებას "საკუთარი ავტონომიური წესდებით", "საკუთარი საბანკო ანგარიშით", შტამპითა და მრგვალი ბეჭდით (გაზ. "თბილისის უნივერსიტეტი", 17. I. 1989).

ამ ეტაპზე საზოგადოება აპირებს მუდმივი მეთვალყურეობა დააწესოს უნივერსიტეტის ისტორიული I კორპუსის მიმდინარე რეკონსტრუქციაზე. გამიზნულია უნივერსიტეტის უნიკალური მუზეუმების "გაცოცხლება" და ფუნქციური დატვირთვა: ყოველივე აქ თქმული და ჯერ არ თქმული, მაგრამ სამომავლოდ გათვალისწინებული, ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება (იქნება საწყისიც) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენის გადაუდებელ საქმეში".

მსურს მჯეროდეს, რომ ძეგლთა დაცვის საუნივერსიტეტო ავტონომიური ორგანიზაცია იქნება ის დვრიტა, რომელზეც გაფუვდება უნივერსიტეტის ავტონომიის იდეა. ეს ყველაფერი – ძეგლთა დაცვაც კარგია, ვინ არ მიესალმება დ არ შეუწყობს ხელს ამ სამართლიან წამოწყებას, მაგრამ თავს იჩენს ეჭვი – ეჭვი არა ამ იდეის განხორციელებადობაში, არამედ "ფორმულაში", რომელიც ძახილის ნიშნით არის მოწოდებული:

"უნივერსიტეტი თავად ძეგლია!"

რას გულისხმობს ეს "ფორმულა"?

ინფორმაციის ავტორნი მართალნი არიან, როცა წერენ, რომ "ჩვენს საზოგადოებას ხეირიანად ისიც კი არ ესმის, რას წარმადგენს ცნება – ისტორიული ძეგლი, მოიცავს თუ არა იგი თავის თავში ოდენ არქიტექტურულ ნაგებობას.." სწორია, უნდა გაფართოვდეს ძეგლის ცნება, მაგრამ რა ზომამდე უნდა გაიწიოს მისმა ფარგლებმა, რომ მან უნივერსიტეტი მოიცვას? იგი ხომ, მართლაც, "ოდენ არქიტექტურული ნაგებობა" არ არის! რა ძალამ, რა პირობებმა უნდა გადააქციოს უნივერსიტეტი ძეგლად? ძეგლად რისა? საკუთარი თავისა, როცა ის ცოცხლობს და ასრულებს თავისი უშუალო, დასაბამიერ ფუნქციას? იქნებ " ძეგლ" ცნების განმარტებაშია დაშვებული შეცდომა?

არ მაქვს პრეტენზია "ძეგლის" ცნების ლოგიკურად ამომწურავი განმარტებისა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მისი შინაარსის დადგენისთვის აუცილებელი უნდა იყოს ერთი ელემენტარული პირობა: ნივთის თუ მოვლენის თავდაპირველი ფუნქციის ყავლგასულობა. ძეგლია დრომოჭმული რელიგიის ტაძარი, რომელსაც აღარ ჰყავს აღმსარებელი, რომლის საკურთხეველზე არავის მიაქვს შესაწირავი; ის შეიძლება იყოს "ნაშთი ძველლი დიდებისა", მაგრამ ის ტაძარი აღარ იქნება (ამ სიტყვის ცოცხალი მნიშვნელობით).

საკითხავია, რა შეიძლება წარმოადგენდეს ძეგლს უნივერსიტეტის შემთხვევაში? ოთხმოციოდე წლის წინ აგებული შენობა, თუნდაც "ქვის ჰარმონია", თუ ცოცხალი უნივერსიტას მაგისტრორუმ ეტ სქოლარიუმ? თუ შენობა – მაინც რა ნიშანი აქვს ისეთი ამ შენობას, რომ იგი ძეგლად შეირაცხოს, როგორც თავდადებულ ადამიანს ვისმე შერაცხავენ წმიდანად? იქნებ ეს ნიშანი ის ფაქტია, რომ ამ შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომლის ავტონომიამ მხოლოდ ხუთ წელიწადს გასტანა? მაგრამ უნივერსიტეტი ჯერ ხომ ცოცხალია, როგორც უნივერსიტას, და ჯერ კიდევ ცოცხლობს და ელის განხორციელებას მისი ავტონომიის იდეა?

ცოხალია იდეა უნივერსიტეტის ავტონომიისა და მის გვერდით თავს იჩენს (ხმები დადის!) მისი ძეგლად და მუზეუმად ქცევის უსაფუძვლო იდეა. ნუთუ ეს ხვედრი დაიმსახურა მრავალტანჯულმა უნივერსიტეტმა სამოსდაათი წლის შემდეგ, როცა მისი განახლების ჟამი უნდა დგებოდეს? დაიცალოს და თავისი ხანმოკლე და ბედკრული ისტორიის მუზეუმად იქცეს? რა არის შემოთავაზებული განახლების და გათავისუფლების სანაცვლოდ? "დროა (ვკითხულობთ ერთ პუბლიკაციაში, ზ. კ.), უნივერსიტეტის პირველი

კორპუსის ისტორიულ ძეგლად გამოცხადების ფაქტს მივცეთ კონკრეტული შინაარსი, მაგ., გამოვაცხადოთ შენობაც და ეზოც ნაკრძალად, სადაც არ არის მიზანშეწონილი მასობრივი ღონისძიებების ჩატარება, როდესაც ითელება არა მარტო გაზონები, არამედ წმიდა საფლავებიც" (იხ. "ტაძარი", "ლიტ. საქართველო", 7. X. 1988).

უთუოდ ჩრდილავს პუბლიკაციის კეთილშობილურ პათოსს აქ გამოხატული აზრი. გაზეთის ერთსა და იმავე ნომერში უნივერსიტასის ერთი ნაწილი (სქოლარნი) აყენებს ავტონომიის იდეას, მეორე ნაწილი (მაგისტრები) მოითხოვს მის ნაკრძალად გამოცხადებას, ანუ მისი ძეგლობის საბოლოო რატიფიკაციას. ნაკრძალობა მთლიანად აუქმებს უნივერსიტეტის იდეას, თუ ეს სიტყვა აქ თავისი მკაცრი მნიშვნელობით არ არის ნახმარი და მხოლოდ ბელეტრისტიკის სფეროს ეკუთვნის; როგორც ცნება "წმიდა საფლავებისა", რადგან საფლავი ყოველთვის წმიდაა (ცხადია, ყოფითი გაგებით) და არ უნდა იბილწებოდეს, მაგრამ უნივერსიტეტის ეზო სასაფლაო არ არის, არ არის სასაფლაო სიონის ტაძარი, სადაც უწმიდესნი და უნეტარესნი მარხიან, მრევლი კი დგას მათ ზემოთ. მათი საფლავები არ ითელება, როგორც არ ითელებოდა დავითის საფლავი, თუმცა თავად კი სურდა გათელილიყო, რასაც მისი ეპიტაფია გვიცხადებს.

P.S. თბილისის უნივერსიტეტის ძეგლთა დაცვის ავტონომიური საზოგადოება "აპირებს მუდმივი მეთვალყურეობა დააწესოს უნივერსიტეტის I კორპუსის მიმდინარე რეკონსტრუქციაზე". ეს დროული წამოწყებაა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთელი ის სამუშაო, რაც ამჟამად უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, უფრო ზუსტად: ბიბლიოთეკის ყოფილ ტერიტორიაზე მიმდინარეობს, სწორედ მისი პირვანდელი სახის აღდგენისაკენ არის მიმართული. თუმცა გაუმართლებელი იყო ბიბლიოთეკის, განსაკუთრებით, ტრადიციული სამკითხველო დარბაზის მოწყვეტა პირველი კორპუსისაგან, ეს დასანანი გარემოება ახლა ხელს უწყობს ამ დარბაზის აუდიტორიად ქცევას. გვეძლევა შემთხვევა აღვადგინოთ N1 აუდიტორია, სადაც იმართებოდა თავისუფალი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომები, სადაც დაცული იქნა პირველი სამეცნიერო ხარისხი, სდაც ივანე ჯავახიშვილი კითხულობდა საერთო ლექციებს მთელი უნივერსიტეტის მსმენელთათვის, რომლებიც შეადგენდნენ მაშინ ნამდვილ უნივერსიტას მაგისტრორუმ ეტ სქოლარიუმს.

ზურაბ კიკნაძე
"თბილისის უნივერსიტეტი", 3 მარტი, 1989 წ.